

**გირავნობის ხელშეკრულება #**

ქ.თბილისი, საქართველო

[წელი] წლის [რიცხვი, თვე]

<b>1.</b>	<b>გირავნობის ხელშეკრულების მხარეებს წარმოადგენენ:</b>	
1.1.	<b>ბანკი:</b>	
1.1.1.	საფირმო სახელწოდება:	სს "ლიბერთი ბანკი"
1.1.2.	საიდენტიფიკაციო ნომერი:	203828304
1.1.3.	მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. №74
1.1.4.	ტელეფონი:	
1.1.5.	ელ-ფოსტა:	
1.1.6.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.1.7.	პირადი ნომერი	
1.1.8.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

1.2.	<b>დამგირავებელი:</b>	
1.2.1.	სახელწოდება/სახელი და გვარი:	
1.2.2.	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი:	
1.2.3.	მისამართი:	
1.2.4.	ტელეფონი:	
1.2.5.	ელ-ფოსტა:	
1.2.6.	წარმომადგენლის სახელი და გვარი:	
1.2.7.	პირადი ნომერი	
1.2.8.	წარმომადგენლის თანამდებობა:	

**2. გირავნობის ხელშეკრულების საგანი**

2.1. წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულების და გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობების (რომელიც განთავსებულია ბანკის ვებგვერდზე: <https://libertybank.ge/ka/agreements/giravnobis-xelshekrulebis-dziritadi-pirobebi>) საფუძველზე და შესაბამისად დამგირავებელი იღებს ვალდებულებას და ბანკს ანიჭებს უფლებას, მოვალის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, ბანკმა მოვალის მიმართ არსებული მოთხოვნა/მოთხოვნები დაიკმაყოფილოს გირავნობის საგნის რეალიზაციის, დასაკუთრების ან/და სხვაგვარი გამოყენების გზით.

2.2. ძირითადი ხელშეკრულების აღწერილობა მოცემულია გირავნობის ხელშეკრულების 3.1. პუნქტში, ხოლო გირავნობის საგნის მონაცემები - გირავნობის ხელშეკრულების დანართ(ებ)ში.

2.3. წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულებაზე სრულად ვრცელდება გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები (თუ გირავნობის ხელშეკრულებით ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე გარიგებით პირდაპირ არ არის გამორიცხული რომელიმე პირობის მოქმედება), მათ შორის ტერმინთა განმარტებები, განცხადებები და გარანტიები, გირავნობის ზოგადი პირობები, უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილების, კონფიდენციალურობის, ხელშეკრულების შეწყვეტის, დავების გადაწყვეტის, მხარეთა კომუნიკაციის პირობები და სხვა. ამასთან, დამგირავებელი ადასტურებს, რომ მისთვის (დამგირავებლისთვის) სრულიად გასაგებია გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები და ეთანხმება მათ.

2.4. დამგირავებელი ადასტურებს, რომ ბანკმა სათანადოდ მიაწოდა მას (დამგირავებელს) ინფორმაცია უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის სამართლებრივ შედეგებთან დაკავშირებულ რისკებზე, მათ შორის ბანკის უფლებამოსილებაზე: (ა) მიაქციოს გადახდევინება გირავნობის საგანზე, მათ შორის, ბანკმა განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია, პირდაპირ საკუთრებაში მიღება; (ბ) მიმართოს ბანკმა ისეთ ღონისძიებებს, როგორცაა გირავნობის საგანზე ყადაღის, შეზღუდვის, აკრძალვის, უფლებრივი ტვირთის გავრცელება.

2.5. დამგირავებელი ადასტურებს, რომ აცნობიერებს საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის უზრუნველყოფის სახით წარმოდგენილი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებულ რისკებს, თუ კლიენტმა სრულად არ დაფარა უზრუნველყოფილი მოთხოვნით გათვალისწინებული ყველა ვალდებულება.

2.6. საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემა ხდება ძირითადი (გენერალური) ხელშეკრულების [ლიმიტის ოდენობა თანხობრივად და სიტყვიერად] ფარგლებში, რომელიც მოქმედია შემდეგი ვადით [ვადის მითითება]. ვითვალისწინებ, რომ ამ პერიოდის განმავლობაში ზემოაღნიშნული ლიმიტის ფარგლებში კლიენტზე დამატებით საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემის შემთხვევაში, საკრედიტო პროდუქტ(ებ)ის გაცემაზე დამგირავებლის დამატებითი თანხმობა არ იქნება საჭირო და წინამდებარე ქონების უზრუნველყოფის მოცულობა გავრცელდება ძირითადი (გენერალური) ხელშეკრულების უზრუნველყოფის ფარგლებში გაცემულ ყველა საკრედიტო პროდუქტზე: **ეს პირობა საჭიროა თუ გირავნობა უზრუნველყოფს გენერალური საკრედიტო ბაზს**

**3. უზრუნველყოფილი მოთხოვნა**

3.1. უზრუნველყოფილი მოთხოვნის აღწერა:

3.1.1.	ძირითადი ხელშეკრულების დასახელება:	
3.1.2.	ძირითადი ხელშეკრულების ნომერი:	
3.1.3.	ძირითადი ხელშეკრულების თარიღი:	
3.1.4.	არსებული ან/და სამომავლო მოვალ(ებ)ი:	დასახელება/სახელი და გვარი ან/და სამომავლოდ ძირითადი ხელშეკრულებით ან/და მისი შემადგენელი/დაკავშირებული ხელშეკრულებებით განსაზღვრული მოვალ(ებ)ი
3.1.5.	არსებული ან/და სამომავლო მოვალ(ებ)ის პირადი ნომერი/საიდენტიფიკაციო კოდი:	
3.1.6.	უზრუნველყოფილი მოთხოვნის მაქსიმალური ოდენობა:	

3.2 ბანკის მოთხოვნა, რომელიც გამომდინარეობს ძირითადი ხელშეკრულებიდან (მათ შორის ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)იდანაც) ასევე გირავნობის ხელშეკრულებიდან. უზრუნველყოფილი მოთხოვნა ცვლადია და სრულად მოიცავს როგორც მოვალ(ებ)ის მიმართ არსებულ, ასევე მომავალში წარმოშობილ ან/და პირობით მოთხოვნებს, მათ შორის და არამართ ათვისებული კრედიტის ძირითად თანხას, საპროცენტო სარგებელს, საკომისიოებს, პირგასამტეხლოს, ზიანის/ზარალის ანაზღაურების თანხებს, აგრეთვე გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის, სასამართლოს/არბიტრაჟის, აღსრულების და გირავნობის საგნის რეალიზაციასთან, სპეციალისტის მომსახურებასთან დაკავშირებულ ან/და კანონმდებლობით განსაზღვრულ სხვა ხარჯებს. უზრუნველყოფილი მოთხოვნას ასევე წარმოადგენს ბანკის ყველა მოთხოვნა (მათ შორის მოვალის მიერ ფაქტობრივად მიღებულ ან/და გამოყენებულ საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული) წარმოშობილი ძირითადი ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე, რამდენიმე ან ყველა გარიგების შეწყვეტის (მათ შორის ბათილად ცნობის) შედეგად.

**4. გირავნობის ხელშეკრულების პირობები**

- 4.1. **გირავნობის წარმოშობა.** გირავნობის საგანზე გირავნობის უფლება წარმოიშობება გირავნობის ხელშეკრულების მარეგისტრირებელ ორგანოში რეგისტრაციის მომენტიდან და და მოქმედებს უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებების სრულ დაკმაყოფილებამდე.
- 4.2. თუ გირავნობის ხელშეკრულებით დაგირავებულია დეპოზიტი ან/და მოთხოვნები ეს გულისხმობს, რომ გირავნობის საგანს ამავდროულად წარმოადგენს აღნიშნულ ქონებასთან დაკავშირებული დამგირავებლის ყველა უფლება და მოთხოვნა (მათ შორის სამომავლო და პირობითი), ნებისმიერი დარიცხული სარგებელი და სხვა.
- 4.3. **გირავნობის საგნის სხვა საგანთან გაერთიანება, მისი გაყოფა ან/და გარდაქმნა.** ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობის საფუძველზე, დამგირავებელი უფლებამოსილია გირავნობის საგანი გარდაქმნას, გაყოს, გააერთიანოს სხვა საგანთან იმდამდგარად, რომ გარდაქმნის, გაყოფის ან/და სხვა საგანთან გაერთიანების შედეგად არ დაუშვას გირავნობის საგნის რეალური ღირებულების შემცირება. ამასთან, ბანკის მოთხოვნის შემთხვევაში, დამგირავებელი ვალდებულია ბანკს წარუდგინოს ბანკისათვის მისაღები ავტორიტეტული საექსპერტო დაწესებულების დასკვნა, რომლითაც დადასტურებული უნდა იყოს გარდაქმნის, გაყოფის ან/და სხვა საგანთან გაერთიანების შედეგად მიღებული გირავნობის საგნის რეალური ღირებულება.
- 4.4. გირავნობის საგნის (ან მისი ნაწილის) ნებისმიერ გადამუშავება ან/და სხვა მოძრავ ნივთთან ნებისმიერი შერწყმა არ იწვევს გირავნობის უფლების შეწყვეტას და ამ შემთხვევაში უზრუნველყოფილი მოთხოვნის რიგითობა განისაზღვრება გადამუშავებამდე ან შერწყმამდე არსებულ გირავნობის უფლების წარმოშობის მომენტის შესაბამისად.
- 4.5. **გირავნობის საგნით სარგებლობა და მოვლა-პატრონობა.** დამგირავებელს უფლება აქვს ფლობდეს გირავნობის საგანს და ისარგებლოს ამ საგნით ისე, რომ ამით არ შემცირდეს გირავნობის საგნის ღირებულება. ბანკისაგან სხვაგვარი მითითების არსებობამდე, დამგირავებელი უფლებამოსილია მიიღოს გირავნობის საგნის ნაყოფი.
- 4.6. დამგირავებელი ვალდებულია, ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე არ დაუშვას გირავნობის საგნის ან მისი/მათი ნაწილის განკარგვა, გასხვისება, ან/და სხვაგვარად დატვირთვა, ან/და არ იკისროს იმგვარი ვალდებულებები ან/და გაწიოს ხარჯები, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონიოს დამგირავებლის მიერ გირავნობის ხელშეკრულებით, მისი დანართ(ებ)ით ან/და მასთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე. გირავნობის საგანის მესამე პირისათვის გადაცემა დასაშვებია მხოლოდ ბანკის წინასწარი წერილობითი თანხმობით.

4.7. გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის ვალდებულება, მისი შემთხვევით განადგურების ან დაზიანების რისკი, ეკისრება **დამგირავებელს**. იგი ვალდებულია:

4.7.1. შეინახოს და **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში მიაწოდოს **ბანკს** ტექნიკური, საგარანტიო და გირავნობის საგანთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტაცია, ხოლო დაკარგვის ან დაზიანების შემთხვევაში მიიღოს აუცილებელი ზომები აღნიშნული დოკუმენტების აღსადგენად ან/და დუპლიკატის მისაღებად;

4.7.2. დაუყოვნებლივ აცნობოს **ბანკს** გირავნობის საგნის ღირებულების შემცირების ან ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ;

4.7.3. უზრუნველყოს გირავნობის საგნის გამართულ მდგომარეობაში შენარჩუნება და გაიღოს ყველა ხარჯი გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობისათვის გირავნობის უფლების შეწყვეტამდე, მათ შორის, იმ წესითა და ვადით, რომელიც გათვალისწინებულია საგარანტიო ან/და ტექნიკური დოკუმენტაციით და განახორციელოს გირავნობის საგნის საგარანტიო მომსახურება, მიმდინარე ან/და კაპიტალური რემონტი/შეკეთება (გირავნობის საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე ასეთის აუცილებლობის შემთხვევაში);

4.8. თუ **დამგირავებელი** სრულად და ჯეროვნად არ ასრულებს გირავნობის ხელშეკრულებით განსაზღვრულ გირავნობის საგნის მოვლა-პატრონობის ვალდებულებებს, **ბანკი** უფლებამოსილია ნებისმიერ დროს (ა) მოსთხოვოს **დამგირავებელს** გირავნობის საგნის ღირებულების შენარჩუნებისათვის საჭირო ზომების მიღება; (ბ) თავისი სახსრებით აღმოფხვრას გირავნობის საგნის დაზიანებები, ხოლო ამგვარი ქმედებების განსახორციელებლად აუცილებელი სახსრების გადახდა მოსთხოვოს **დამგირავებელს** ან/და (გ) მოსთხოვოს **დამგირავებელს** გირავნობის საგნის **ბანკისთვის** მფლობელობაში გადმოცემა.

4.9. **ბანკი** უფლებამოსილია მოსთხოვოს **დამგირავებელს** ან/და მოვალეს გირავნობის საგნის ჩანაცვლება სხვა ქონებით, ისე რომ სრულად იყოს უზრუნველყოფილი გირავნობის ხელშეკრულებაში მითითებული უზრუნველყოფილი მოთხოვნები ან/და დააკისროს **დამგირავებელს** ან/და მოვალეს ზიანის ანაზღაურება **ბანკისთვის** მიყენებული ზიანის სრული ოდენობით (ხოლო **დამგირავებელი** ან/და მოვალეს ვალდებული იქნება გონივრულ ვადაში, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს ერთ თვეს, დააკმაყოფილოს **ბანკის** მოთხოვნა) იმ შემთხვევაში, თუ დადგება როემელიმე შემდეგი გარემოება: (ა) გირავნობის საგნის ღირებულება ისე შემცირდა, რომ საფრთხე ექმნება უზრუნველყოფილ მოთხოვნის სრულად და ჯეროვნად შესრულებას; (ბ) გირავნობის საგნის მესაკუთრის მიმართ მესამე პირმა შეიტანა სარჩელი, რომლითაც მოსარჩელე მოითხოვს გირავნობის საგანზე (ან მის ნაწილზე) მესაკუთრის საკუთრების უფლების შეწყვეტას ან შეზღუდვას; (დ) თუ აღმოჩნდება, რომ **დამგირავებელი** არ წარმოადგენს გირავნობის საგნის მართლზომიერ მესაკუთრეს; (ე) გირავნობის საგანი აღმოჩნდება ყალბი.

4.10. **ქონების შეფასება**. **დამგირავებელი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, გირავნობის ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში (ასევე გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევის ეტაპზეც) **ბანკის** თანამშრომელმა ან **ბანკის** მიერ განსაზღვრულმა პირმა განახორციელოს გირავნობის საგნის შეფასება (მათ შორის დაზიანების შემთხვევაში თუ გირავნობის საგანი გადაცემულია **ბანკისთვის** მფლობელობაში), დასურათება და შესაბამისი აქტის შედგენა.

4.11. **სატრანსპორტო საშუალებებთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები**. თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალება(ები):

4.11.1. **დამგირავებელი** ვალდებულია, **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ გადაკვეთოს სახელმწიფო საზღვარი ან საქართველოს ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული ტერიტორია. ამასთან, **ბანკი** უფლებამოსილია, რაზედაც **დამგირავებელი** გირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე აძლევს **ბანკს** შესაბამის თანხმობას და ანიჭებს უფლებამოსილებას, **დამგირავებლის** სახელით, ნებისმიერი უფლებამოსილი ორგანოდან, მოითხოვოს და მიიღოს ინფორმაცია სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მიერ საზღვრის კვეთის შესახებ;

4.11.2. სატრანსპორტო საშუალებ(ებ)ის მესამე პირისათვის გადაცემისას, **დამგირავებელი** ვალდებულია შესაბამისი ხელშეკრულებით დააკისროს მოსარგებლეს გირავნობის საგნით სარგებლობის სანაცვლოდ გადასახდელი თანხის ჩარიცხვის/შეტანის ვალდებულება **დამგირავებლის** ანგარიშზე სს „ლიბერთი ბანკში“ ან **ბანკის** მიერ მითითებულ სხვა ანგარიშზე. ამასთან, **დამგირავებელი** პასუხისმგებელია აღნიშნული მესამე პირების მიერ კანონმდებლობით სატრანსპორტო საშუალების დამგირავებლის/მფლობელისათვის დადგენილი ვალდებულებების სრულ და ჯეროვან შესრულებაზე;

4.11.3. და თუ ტექნიკური დათვალიერების ან იდენტური პროცედურის გავლა (როგორც რეგულარული, ასევე ერთჯერადი) სავალდებულოა საქართველოს ტერიტორიაზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალებებისათვის, **დამგირავებელი** ვალდებული იქნება დროულად და საკუთარი ხარჯით გაიაროს შესაბამისი პროცედურა. თუ **დამგირავებელი** დაარღვევს ზემოაღნიშნულ ვალდებულებას, იგი იქნება ყველა დამდგარ შედეგზე მატრიალურად პასუხისმგებელი (მათ შორის შესაბამისი ჯარიმებზე);

4.11.4. **ბანკის** მოთხოვნის შემთხვევაში **დამგირავებელი** ვალდებული იქნება წარუდგინოს **ბანკს** გირავნობის საგანი მასზე GPS მოწყობილობის ინსტალაციის მიზნით;

4.11.5. გირავნობის საგანთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილების (ავტომანქანის ტიპი, ფერი, სახ. ნომერი, დამგირავებლრე და ა.შ.) განხორციელების შემთხვევაში, რაც გამოიწვევს გირავნობის საგნის საკუთრების

დამადასტურებელი დოკუმენტის - ტექ. პასპორტის ცვლილებას, **დამგირავებელი** ვალდებულია წარუდგინოს **ბანკს** ახალი ტექ. პასპორტი, ასეთი ცვლილებების განხორციელებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) **საბანკო დღის** ვადაში.

4.12. **გირავნობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ბანკისთვის მფლობელობაში გადაცემულ ძვირფასეულობასთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები.**

4.12.1. **დამგირავებელი** ვალდებულია გადასცეს **ბანკს** ყველა ინფორმაცია, რაც შეიძლება მნიშვნელოვანი იყოს შესანახად გადაცემული ძვირფასეულობის დაზიანების თავიდან ასაცილებლად;

4.12.2. **ბანკი** უფლებამოსილია აუცილებლობის შემთხვევაში შეცვალოს **გირავნობის საგნის** შენახვის წესი და ადგილი (მათ შორის ნივთები შესანახად გადასცეს **მესამე პირებს**).

4.12.3. **მოვალის** მიერ **უზრუნველყოფილის მოთხოვნის** სრულად და ჯეროვანდ შესრულების შემდგომ **ბანკი** უფლებამოსილია **გირავნობის საგანი** გადასცეს **დამგირავებელს** ან მესაკუთრეს. ნივთის გადაცემა მოხდება **ბანკთან** წინასწარი შეთანხმებით შესაბამის მხარეებს შორის გაფორმებული აქტის საფუძველზე;

4.13. **სალომზარდო საკრედიტო პროდუქტთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები.**

4.13.1. თუ **ბანკის** მიერ მოთხოვნის წარდგენის ან გადახდევინების მიქცევის ეტაპისათვის ვერ ხდება **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მოძიება (გარდა იმ შემთხვევისა თუ **გირავნობის საგანი** გადაცემულია **ბანკისთვის** მფლობელობაში), მიუხედავად მოუძიებლობის მიზეზისა (ქონების გადამალვა, განადგურება, ქონების ჩამორთმევა ნებისმიერი ადმ. ორგანის მიერ, ქონების მიერ საქართველოს საზღვრის კვეთა ა.შ.), **დამგირავებელი** აცხადებს თანხმობას **ბანკის** სრულ უფლებამოსილებაზე, **ბანკმა** საკუთარი არჩევანით მოითხოვოს: (ა) **მოვალისგან** სხვა შესაბამისი ღირებულების მქონე **უზრუნველყოფის საშუალების** საგნის წარმოდგენა ან (ბ) **ძირითადი ხელშეკრულების** ან/და მის ფარგლებში დადებული ნებისმიერი გარიგების ვადამდე შეწყვეტა და ვალდებულების სრულად დაფარვა **მოვალის** ნებისმიერ ქონებაზე გადახდევინების მიქცევის გზით.

4.13.2. **სალომზარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალების** საგნის მესაკუთრის (**დამგირავების**)/**მოვალის** მიერ განადგურებულად/ გადამალულად ჩაითვლება მათ შორის შემდეგ შემთხვევებშიც, კერძოდ **უზრუნველყოფის საშუალების** საგანი:

4.13.2.1. განადგურებულად ჩაითვლება თუ **გირავნობის ხელშეკრულების** დადების მომენტისთვის **ბანკის** მიერ **გირავნობის საგნისთვის** შეფასების აქტით განსაზღვრული ღირებულება შემცირდება 30%-ით და მეტით, იმის მიუხედავად ასეთი შემცირება გამოწვეული იქნება თუ არა **მოვალის/დამგირავების** მიერ;

4.13.2.2. გადამალულად ჩაითვლება თუ **ბანკის** მიერ **მოვალისთვის** ან/და **გირავნობის საგნის** მესაკუთრისთვის შეტყობინების მიწოდებიდან 2 (ორი) კვირის ვადაში **კლიენტი** არ წარუდგენს **ბანკს** **გირავნობის საგანს**.

4.14. **თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნის უფლებები:** (ა) **დამგირავებელი** **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე არ არის უფლებამოსილი სრულად ან ნაწილობრივ უარი განაცხადოს **გირავნობის საგნიდან** გამომდინარე მოთხოვნებზე ან/და შეცვალოს ასეთი მოთხოვნები; (ბ) ხოლო **დამგირავებლის** მოვალე ვალდებულებას ასრულებს **გირავნობის უფლების** ვადის გასვლამდე, მაშინ შესრულება იკავებს **გირავნობის საგნის** ადგილს (შესრულებული მოთხოვნების ნაწილში), რაც ამავდროულად გულისხმობს, რომ **ბანკი** უფლებამოსილია თავისი შეხედულებისამებრ დაბლოკოს აღნიშნული შესრულების ფარგლებში მიღებული თანხები (მათ შორის **ბანკის** შიდასაბანკო ანგარიშზე განთავსების გზით) ან/და მიმართოს **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** წინსწრებით დასაფარად/შესამცირებლად; (გ) **დამგირავებელი** ვალდებულია უზრუნველყოს, რომ **დამგირავების** მოვალემ მის (**დამგირავების**) წინაშე ფულადი ვალდებულები შეასრულოს **ბანკში დამგირავების ანგარიშზე** თანხის განთავსების გზით.

4.15. **დეპოზიტთან დაკავშირებული სპეციფიკური დებულებები.** თუ **ბანკსა** და **დამგირავებელს** შორის არსებული **დეპოზიტის** ხელშეკრულების მოქმედების ვადა ნაკლებია **ძირითადი ხელშეკრულების** მოქმედების ვადაზე, **მხარეები** თანხმდებიან, რომ **დეპოზიტის** ხელშეკრულების ვადის გასვლის ყოველ ჯერზე მისი მოქმედების ვადა ავტომატურად გაგრძელდება **დეპოზიტის** ხელშეკრულებით განსაზღვრული საწყისი ვადით და იგივე პირობებით.

4.16. **პირგასამტეხლო.** **დამგირავების** მიერ **გირავნობის ხელშეკრულებით** განსაზღვრული ნებისმიერი ვალდებულების/შეზღუდვის/აკრძალვის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, **დამგირავებელი** ვალდებულია გადაუხადოს **ბანკს** ერთჯერადი პირგასამტეხლო **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** მაქსიმალური ოდენობის 5%-ის ოდენობით და ყოველდღიური პირგასამტეხლო თითოეული დარღვეული ვალდებულების/შეზღუდვის/აკრძალვის სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის (სრული ან არასრული) **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** მაქსიმალური ოდენობის 1%-ის ოდენობით. ამავდროულად, **ბანკი** იტოვებს **გირავნობის ხელშეკრულების** ვადამდე შეწყვეტის გამოყენების უფლებას.

4.17. **დაკავშირებული ხელშეკრულების მხარისთვის ინფორმაციის მიწოდება.** **დამგირავებელი** გამოხატავს თანხმობას და **ბანკს** ანიჭებს გამოუთხოვად უფლებამოსილებას, **ბანკმა** საკუთარი შეხედულებისამებრ გადასცეს **ძირითადი ხელშეკრულების** ნებისმიერ **მოვალეს** (თუ რამდენიმე მოვალეა), ასევე **დაკავშირებული ხელშეკრულების** მხარეს (იპოთეკის, გირავნობის, თავდებობის და ა.შ ხელშეკრულების მხარეს): (ა) **გირავნობის ხელშეკრულება**, (ბ) **გირავნობის ხელშეკრულებასთან** დაკავშირებული დოკუმენტაცია (ბ) **გირავნობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ნებისმიერი ვალდებულების და ასევე შესრულებული ფულადი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია (მათ შორის **ანგარიშიდან** მიღებული ამონაწერის სახით). გაუგებრობის გამოსარიცხად, წინამდებარე პუნქტში აღნიშნული პირობა არ ზღუდავს

ბანკს დაამუშაოს კონფიდენციალური ინფორმაცია (მათ შორის პერსონალური ინფორმაცია) და ისარგებლოს იმ უფლებებით, რაც განსაზღვრულია გირავნობის ხელშეკრულების ძირითადი პირობებით.

## 5. უზრუნველყოფილი მოთხოვნის დაკმაყოფილება

5.1. ბანკი უფლებამოსილია განახორციელოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა მოქმედა გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევისათვის, თუ ადგილი აქვს:

5.1.1. მოვალ(ებ)ის მიერ უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და

5.1.2. დამგირავებლის მიერ გირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას; ან/და

5.1.3. გირავნობის საგანზე ან მისი ნაწილზე ყადაღის/აკრძალვის/ შეზღუდვის გავრცელებას; ან/და

5.1.4. ნებისმიერ ისეთ გარემოების დაწყებას ან დადგომას: (ა) რითაც საფრთხე შეექმნება გირავნობის საგანს ან/და (ბ) თუ ბანკისთვის საეჭვო გახდება დამგირავებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების სრული და ჯეროვანი შესრულება, ან/და (გ) რომლითაც ბანკს წარმოეშვება ძირითადი ხელშეკრულების ან/და მის ფარგლებში დადებული რომელიმე შემადგენელი ხელშეკრულების ცალმხრივად, ვადაზე ადრე, შეწყვეტის უფლება; ან/და

5.1.5. უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე რომელიმე ფულადი ვალდებულების ვადის დადგომის დღეს მოვალის მიერ ასეთი ფულადი ვალდებულების თბილისის დროით 24:00 საათამდე შეუსრულებლობას ან/და არაჯეროვან შესრულებას. ამასთან, ეს პირობა გამოიყენება იმ შემთხვევაში თუ უზრუნველყოფილი მოთხოვნა უზრუნველყოფილია დეპოზიტით ან/და მოთხოვნის უფლებებით.

5.2. ბანკი საკუთარ უფლებას განახორციელებს მიუხედავად იმისა, თუ ვის მფლობელობაში ან საკუთრებაში იმყოფება გირავნობის საგანი (ან მისი ნაწილი). მხარეები თანხმდებიან, რომ გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევის უფლების წარმოშობის შემთხვევაში, ბანკი უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ ქვემოთ მითითებული უფლებებიდან ისარგებლოს ერთ-ერთი ან რამდენიმე შემდეგი უფლებით:

5.2.1. განახორციელოს გირავნობის საგნის აუქციონის წესით რეალიზაცია ბანკის მიერ შერჩეული (დანიშნული) სპეციალისტის ან იურიდიული პირის მეშვეობით, რომლის მომსახურების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება დამგირავებელს;

5.2.2. განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ნოტარიუსის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე;

5.2.3. განახორციელოს გირავნობის საგნის რეალიზაცია ბანკის განცხადების საფუძველზე, სასამართლოს, მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;

5.2.4. განახორციელოს გირავნობის საგნის პირდაპირ საკუთრებაში მიღება. წინამდებარე პირობა ამავდროულად წარმოადგენს მარეგისტრირებელ ორგანოში წარსადგენ მხარეთა სათანადო საფუძვლეს, რომ ბანკის ცალმხრივი განცხადებით გირავნობის საგანზე ბანკი აღირიცხოს მესაკუთრედ.

5.2.5. თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს კანონმდებლობით განსაზღვრული სატრანსპორტო საშუალება და ბანკის წერილობითი მოთხოვნიდან 2 (ორი) კვირის ვადაში მოვალე(ები) ან/და დამგირავებელი სრულად და ჯეროვნად არ ასრულებს უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან (მათ შორის ძირითადი ხელშეკრულებიდან ან/და გირავნობის ხელშეკრულებიდან) გამომდინარე ვალდებულებებს, ბანკი უფლებამოსილია მიმართოს მარეგისტრირებელ ორგანოს (სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს) გირავნობის მოწმობის გაცემის მოთხოვნით;

5.2.6. თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს დამგირავებლის ბანკში განთავსებული ფულადი სახსრები (მათ შორის დეპოზიტი, სადეპოზიტო სერტიფიკატი და სხვა), ბანკი უფლებამოსილია, მიუხედავად ფულად სახსრებთან დაკავშირებით დამგირავებელსა და ბანკს შორის არსებული ხელშეკრულებ(ებ)ის პირობებისა, (ა) ვადამდე სრულად ან ნაწილობრივ შეწყვიტოს დეპოზიტის, სადეპოზიტო სერტიფიკატის ან ფულად სახსრებთან დაკავშირებული სხვა ხელშეკრულებ(ებ)ის მოქმედება, (ბ) გირავნობის საგანი (ფულადი სახსრები) უაქცეპტო წესით ჩამოწერა და მიიღოს ბანკის საკუთრებაში (მათ შორის თუ ანგარიშზე არსებული თანხა ვალდებულებისგან განსხვავებულ ვალუტაშია უზრუნველყოფის მისი კონვერტაცია ჩამოწერის მომენტისთვის არსებული ბანკის კომერციული კურსით);

5.2.7. თუ გირავნობის საგანს წარმოადგენს მოთხოვნის უფლება, ვალდებულებით სამართლებრივ ურთიერთობაში ბანკი დაიკავებს დამგირავებლის, როგორც კრედიტორის ადგილს;

5.2.8. მთლიანად ან ნაწილობრივ განახორციელოს მხარეთა შორის არსებული მოთხოვნათა ურთიერთგაქვითვა (ნეტინგი) მათ შორის ისეთი მოთხოვნების, რომელთა შესრულების ვადა გაქვითვის მომენტისთვის არ არის დამდგარი. თუ ბანკს ან/და დამგირავებელს ერთმანეთის მიმართ გააჩნიათ ერთზე მეტი მოთხოვნა, ურთიერთმოთხოვნათა გასაქვითად გამოიყენება ყოველი მათგანი, ხოლო აღნიშნულ მოთხოვნათა გაქვითვის აუცილებლობას ან/და რიგითობას ბანკი განსაზღვრავს ერთპიროვნულად და საკუთარი შეხედულებისამებრ. თუ გასაქვითი მოთხოვნები სხვადასხვა ვალუტაშია, ბანკი უფლებამოსილია მოთხოვნათა გაქვითვა განახორციელოს გაქვითვის მომენტისთვის ბანკის მიერ განსაზღვრული კომერციული კურსით;

5.2.9. გირავნობის საგნის რეალიზაცია განახორციელოს პირდაპირი მიყიდვის გზით. ამ შემთხვევაში ბანკი უფლებამოსილია დადოს გირავნობის საგნის გასხვისების შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც ბანკი გადასცემს საკუთრების უფლებას გირავნობის საგანზე ბანკის მიერ შერჩეულ ნებისმიერ პირს;

5.2.10. თუ გირავნობის საგანს წარმოდგენს მვირფასეულობა ან/და სატრანსპორტო საშუალება, ბანკი ასევე უფლებამოსილია:

5.2.10.1. გირავნობის საგანი გადასეს მესამე პირს (შუამავალს) სარეალიზაციოდ. ამასთან, ბანკის მოთხოვნა გირავნობის საგნის მესამე პირისთვის (შუამავლისთვის) სარეალიზაციოდ გადაცემასთან დაკავშირებით სავალდებულოა დამგირავებლისთვის შესასრულებლად;

5.2.10.2. გირავნობის საგანი პირდაპირ მიყიდოს მესამე პირს(ებ), ხოლო ნასყიდობის თანხა მიიღოს უშუალოდ ბანკმა, რომელიც სრულად მიემართება უზრუნველყოფილი მოთხოვნის დასაფარად/შესამცირებლად. ამასთან, გირავნობის ხელშეკრულება ამავდროულად განიხილება დამგირავებლის მიერ გაცემულ დავალებად (რომელზეც სრულად ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი დავალების ხელშეკრულების ნორმები.), რომლის საფუძველზეც აძლევს ბანკს, გასხვისება მოახდინოს უშუალოდ ბანკმა დამგირავებლის სახელით.

5.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ბანკს უფლება აქვს მოახდინოს გირავნობის საგნის რეალიზაცია სპეციალისტის მეშვეობით აუქციონზე სამოქალაქო კოდექსით იპოთეკის საგნისთვის რეალიზაციისთვის დადგენილი წესით. ამ მიზნით დამგირავებელი წინასწარ, და ყოველგვარი შემდგომი დადასტურების საჭიროების გარეშე, აცხადებს თანხმობას სპეციალისტად დაინიშნოს:

5.3.1. შპს „ემ ჯი ჰოლდინგი“ (ს.კ. 204572284) - თუ ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი საკრედიტო პროდუქტების ჯამური თანხა (იგულისხმება საკრედიტო პროდუქტის გაცემის მომენტისთვის შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტის თანხა) 200,000 (ორასი ათასი) ლარამდეა. მხარეთა შეთანხმებით, აუქციონის წარმოებაში აღნიშნული სპეციალისტის მომსახურების საფასური (ანაზღაურება) შეადგენს არაუმეტეს აუქციონზე ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის 4 %-ის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოიცავს აუქციონის ჩატარებისთვის წინასწარ გადახდილ ნებისმიერ საფასურს, მათ შორის 200 (ორასი) ლარის გადასახდელს;

5.3.2. შპს „პირველი ქართული აუქციონი“ (ს.კ. 204954086) - თუ ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი საკრედიტო პროდუქტების ჯამური თანხა (იგულისხმება საკრედიტო პროდუქტის გაცემის მომენტისთვის შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტის თანხა) 200,000 (ორასი ათასი) ლარიდან 400,000 (ოთხასი ათასი) ლარის ჩათვლითაა. მხარეთა შეთანხმებით, აუქციონის წარმოებაში აღნიშნული სპეციალისტის მომსახურების საფასური (ანაზღაურება) შეადგენს არაუმეტეს აუქციონზე ქონების რეალიზებული თანხის 3%-ის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოიცავს აუქციონის ჩატარებისთვის წინასწარ გადახდილ ნებისმიერ საფასურს, მათ შორის 370 (სამასსამოცდაათი) ლარის გადასახდელს;

5.3.3. შპს „თბილისის სააუქციონო სახლი“ (ს/კ 204545974) (იხ. ვებ. გვერდი: [www.augcionhouse.ge](http://www.augcionhouse.ge)) - თუ ძირითადი ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედი საკრედიტო პროდუქტების ჯამური თანხა (იგულისხმება საკრედიტო პროდუქტის გაცემის მომენტისთვის შესაბამისი შემადგენელი ხელშეკრულებით განსაზღვრული საკრედიტო პროდუქტის თანხა) 400,000 (ოთხასი ათასი) ლარს აღემატება. მხარეთა შეთანხმებით, სპეციალისტის მომსახურების საფასური (ანაზღაურება) თითოეულ ლოტთან დაკავშირებით შეადგენს არაუმეტეს აუქციონზე ქონების რეალიზაციიდან მიღებული თანხის 3,54%-ის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით, ხოლო აუქციონის მოწყობასთან (ორგანიზებასთან) დაკავშირებით წინასწარ გადასახდელი იქნება სასკომისიო 300 (სამასი) ლარის ოდენობით დღგ-ის ჩათვლით. ამ პუნქტით განსაზღვრული აუქციონი ჩატარდება შემდეგი პირობების გათვალისწინებით: ა) პირველი აუქციონის საწყისი ფასი განისაზღვრება უზრუნველყოფილი მოთხოვნისა, სპეციალისტის მომსახურების საფასურისა და აუქციონის მოწყობასთან (ორგანიზებასთან) დაკავშირებული ხარჯების ჯამური ოდენობით. ამასთან, თუ სარეალიზაციო ქონება ექვემდებარება საქართველოს საგადასახადო კოდექსით დღგ-ით დასაბეგრ ოპერაციას, რეალიზაციის ფასს დაემატება დღგ.; ბ) თუ პირველი აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი შემოთავაზება, სპეციალისტი 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში ნიშნავს მეორე აუქციონს. მეორე აუქციონი უნდა გამოცხადდეს იმავე ფორმით, რა ფორმითაც გამოცხადდა პირველი აუქციონი. მეორე აუქციონის ჩატარების დროს ქონების საწყისი ფასი არის პირველ აუქციონზე შემოთავაზებული საწყისი ფასის ნახევარი ან კრედიტორის განცხადების საფუძველზე ნაკლები თანხა. გ) თუ მეორე აუქციონის დროს არ მოხდება შესაბამისი შემოთავაზება, სპეციალისტი ნიშნავს მესამე აუქციონს. მესამე აუქციონზე გირავნობის საგნის გაყიდვის წესს განსაზღვრავს ერთპიროვნულად სპეციალისტი ისე, რომ ქონება სავალდებულოდ გაიყიდოს; დ) ბანკს უფლება აქვს წერილობით მოითხოვოს აუქციონის შეწყვეტა, აუქციონის შეწყვეტის საკომისიო შეადგენს პირველ აუქციონზე დადგენილი საწყისი ფასის 0.59% დღგ-ს ჩათვლით, მაგრამ არაუმეტეს 500 (ხუთასი) ლარისა.

5.4. სპეციალისტის მიერ აუქციონი ტარდება სამოქალაქო კოდექსის, სპეციალისტის მიერ დადგენილი სპეციალური წესებითა და ბანკსა და დამგირავებელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით დადგენილი წესით. სპეციალისტის მიერ დადგენილ სპეციალურ წესებსა და ბანკთან დადებულ ხელშეკრულებ(ებ)ის პირობებს შორის კოლიზიისას გამოიყენება ბანკთან დადებულ ხელშეკრულებ(ებ)ის შეთანხმებული წესები.

5.5. გირავნობის საგნის სპეციალისტის მიერ ჩატარებული აუქციონის მეშვეობით რეალიზაციიდან ამონაგები თანხიდან, პირველ რიგში, დაიფარება რეალიზაციის ხარჯები (მათ შორის, სპეციალისტის, დამოუკიდებელი ექსპერტის, ან ნებისმიერი სხვა პირის მიერ გაწეული მომსახურების ხარჯები) და შემდგომ დაკმაყოფილდება უზრუნველყოფილი მოთხოვნები.

5.6. თუ გირავნობის საგანს წარმოდგენს ძვირფასეულობა ან/და სატრანსპორტო საშუალება, ბანკი უფლებამოსილია გირავნობის საგანზე გადახდევინება მიაქციოს შემდეგი წესით: ბანკი წერილობით გააფრთხილებს დამგირავებელს, მასზე, რომ უზრუნველყოფილი მოთხოვნის შეუსრულებლობის გამო ბანკი აპირებს გაყიდოს გირავნობის საგანი და თუ რაში გამოიხატა მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევა უზრუნველყოფილი მოთხოვნის იმ თანხის მითითებით, რომლის მისაღებადაც უნდა მოხდეს გირავნობის საგანზე გადახდევინების მიქცევა. ასეთი გაფრთხილებიდან 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღის გასვლისთანავე, რომლის ათვლაც იწყება გაფრთხილების დამგირავებლისთვის გადაცემის დღის 24:00 საათიდან და იწურება მე-14 (მეთოთხმეტი) დღის 24:00 საათზე, ბანკი უფლებამოსილი იქნება გირავნობის საგანზე მიაქციოს გადახდევინება და გამოიყენოს გირავნობის ხელშეკრულების 5.2 პუნქტით ან/და კანონმდებლობით მისთვის (ბანკისთვის) მინიჭებული უფლებები.

5.7. წინამდებარე გირავნობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის განხორციელების შემთხვევაში, გირავნობის საგნის შემძენის მესაკუთრედ რეგისტრაციის მიზნით (ასეთის აუცილებლობისას) დამგირავებელი ანიჭებს ბანკს უფლებას ა) დამგირავებლის სახელით გამოვიდეს ურთიერთობაში ნებისმიერ მარეგისტრირებელ ორგანოსთან (მათ შორის ფასიანი ქაღალდების დამოუკიდებელ რეგისტრატორთან ან/და სხვა პირთან/ორგანოსთან), რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს გირავნობის საგნის შემძენის რეგისტრაცია და ბ) დამგირავებლის სახელით ბანკის წარმომადგენელმა ხელი მოაწეროს ნებისმიერ განაცხადს, დოკუმენტს, თანხმობას.

5.8. ბანკის წინაშე მოვალის ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიზნით ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს გადახდევინების მიქცევა მოვალის ნებისმიერ ქონებაზე იმის მიუხედავად უზრუნველყოფილია თუ არა მოვალის ვალდებულებები უზრუნველყოფის საშუალებებით. ამასთან, ბანკი უფლებამოსილია, თავისი შეხედულებისამებრ, გადახდევინება პირველ რიგში მიაქციოს მოვალის იმ ქონებაზე, რომელიც არ წარმოადგენს უზრუნველყოფის საშუალების საგანს.

5.9. თუ გირავნობის საგნის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის გირავნობის საგნის ღირებულება ან/და გირავნობის საგნის რეალიზების შედეგად მიღებული თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად შესრულებისათვის, ბანკი უფლებამოსილია მოითხოვოს მოვალის ვალდებულების შესრულება მისი (მოვალის) ნებისმიერი სხვა ქონებით.

5.10. თუ უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის საკუთრებაში მიღების მომენტისთვის უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის ღირებულება ან/და უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის რეალიზაციიდან ან/და გასხვისებიდან მიღებული თანხა საკმარისი არ არის უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად, მოვალე პასუხისმგებელი დარჩება დარჩენილი ფულადი ვალდებულებების ნაშთზე (მათ გადახდაზე). იგივე წესი ვრცელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის რეალიზაციის შემთხვევაში, გულისხმობს, რომ თუ აუქციონზე გასაყიდი უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის სყიდვის ფასი იქნება ბანკის მოთხოვნაზე ნაკლები, უზრუნველყოფის საშუალების საგნ(ებ)ის რეალიზაციით მიღებული თანხით ბანკის მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგ ბანკის მოთხოვნა მაინც ჩაითვლება უზრუნველყოფილად, ხოლო ბანკი უზრუნველყოფილ კრედიტორად.

5.11. მიუხედავად გირავნობის ხელშეკრულების 5.10. პუნქტით გათვალისწინებულისა, სალომზარდო საკრედიტო პროდუქტიდან გამომდინარე ბანკის მოთხოვნა დაკმაყოფილებულად ჩაითვლება ამ სალომზარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალებ(ებ)ის მიმართ გირავნობის ხელშეკრულებით ან/და კანონმდებლობით გათვალისწინებული გადახდევინების მიქცევის შესაბამისი ღონისძიებების (მათ შორის, ქონების რეალიზაციის ან/და საკუთრებაში მიღების გზით) განხორციელებით. წინამდებარე პუნქტში მოცემული პირობა არ მოქმედებს თუ არსებობს რომელიმე შემდეგი გარემოება: (ა) სალომზარდო საკრედიტო პროდუქტთან მიმართებაში კანონმდებლობით ნებადართულია (არ არის შეზღუდული) მხარეთა მიერ აღნიშნული პირობისგან განსხვავებულ წესზე შეთანხმება (ასეთ შემთხვევაში იმოქმედებს გირავნობის ხელშეკრულების 5.10 პუნქტით გათვალისწინებული წესი); (ბ) მოხდება სალომზარდო საკრედიტო პროდუქტის უზრუნველყოფის საშუალების საგნის რაიმე ფორმით დაზიანება, განადგურება, გადამალვა.

5.12. თუ გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად, რეალიზაციიდან მიღებული თანხა არ არის საკმარისი უზრუნველყოფილი მოთხოვნის სრულად დასაფარად, დამგირავებელი იღებს ვალდებულებას გირავნობის საგნის რეალიზაციის შედეგად მოვალ(ებ)ის მიმართ წარმოშობილი ფულადი ვალდებულების რეგრესის/სუბროგაციის წესით მოთხოვნა განახორციელოს, მხოლოდ მას შემდეგ, რაც სრულად იქნება დაკმაყოფილებული ბანკის წინაშე არსებული უზრუნველყოფილი მოთხოვნიდან გამომდინარე მოვალ(ებ)ის ფულადი ვალდებულებები.

5.13. დამგირავებლის მიერ გირავნობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების უზრუნველსაყოფად (მათ შორის ზიანის/ზარალის დაფარვის მიზნით), დამგირავებელი აცხადებს თანხმობას ბანკის უფლებამოსილებაზე, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ დამგირავებლის ნებისმიერი ანგარიშიდან უაქცივტოდ ჩამოწეროს ყველა გადასახდელი (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად ზიანის/ზარალის თანხები) და მიმართოს არსებული

ფულადი ვალდებულებების დასაფარად/შესამცირებლად. თუ გადასახდელი და ანგარიშზე რიცხული თანხა სხვადასხვა ვალუტაშია, **ბანკმა** თავად განახორციელოს კონვერტაცია გადახდის თარიღისათვის **ბანკში** მოქმედი კომერციული კურსით, ხოლო კონვერტაციის მომსახურების ღირებულება, ასევე, უაქცეპტოდ ჩამოწეროს **დამგირავებლის ანგარიშიდან**.

## 6. სხვა პირობები

6.1 **გირავნობის ხელშეკრულება** ძალაში შედის **გირავნობის ხელშეკრულების მხარეთა** ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **უზრუნველყოფილი მოთხოვნის** სრულად და ჯეროვნად შესრულებამდე.

6.2 **გირავნობის ხელშეკრულება** რეგულირდება და განიმარტება **კანონმდებლობის** შესაბამისად. **გირავნობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ყველა დავა უნდა გადაწყდეს **მხარეთა** შორის მოლაპარაკების გზით. დავის მოუგვარებლობის შემთხვევაში, **მხარეები** მიმართავენ სასამართლოს **ბანკის** იურიდიული მისამართის მიხედვით. ამასთან, **მხარეები** თანხმდებიან, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის 1<sup>ა</sup> ნაწილის საფუძველზე, დავასთან დაკავშირებით პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ **ბანკის** სასარგებლოდ მიღებული გადაწყვეტილება მიქცეული იქნება დაუყოვნებლივ აღსასრულებლად.

6.3 თუ **გირავნობის ხელშეკრულებით** სხვა რამ არ არის განსაზღვრული **ბანკის** მოთხოვნა **დამგირავებლის** მიერ უნდა შესრულდეს მოთხოვნით განსაზღვრულ ვადაში, ხოლო ასეთის არ არსებობისას, **ბანკის** მოთხოვნიდან 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

6.4 **ბანკის** ვებ-გვერდზე და **ბანკის** მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის **ბანკის** მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია **ბანკის** დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა **ძირითადი ხელშეკრულებით**, ასევე **გირავნობის ხელშეკრულებით** გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

6.5 **დამგირავებელი** არ არის უფლებამოსილი **ბანკის** წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე **მესამე პირ(ებ)ს** სრულად ან ნაწილობრივ დაუთმოს **გირავნობის ხელშეკრულებით** მინიჭებული უფლებები ან/და **გირავნობის ხელშეკრულებით** ნაკისრი ვალდებულებები. თავის მხრივ, **ბანკი** უფლებამოსილია საკუთარი შეხედულებისამებრ **მესამე პირს** დაუთმოს **გირავნობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე მოთხოვნები ან/და უფლებები.

6.6 **გირავნობის ხელშეკრულების** პირობების მოქმედება სრულად ვრცელდება **მხარეებზე** და მათ და უფლებამონაცვლებზე.

6.7 **მხარეები** თანხმდებიან, რომ **გირავნობის ხელშეკრულებიდან** გამომდინარე ან/და მასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება **დამგირავებელს** (მათ შორის და არამარტო, **გირავნობის უფლების მარეგისტრირებელ ორგანოში** რეგისტრირებასთან დაკავშირებული ხარჯების, სანოტარო მომსახურების ხარჯების, გირავნობის შეწყვეტის, პარკირების საფასურთან ან ადმინისტრაციულ ჯარიმებთან დაკავშირებული ხარჯების (მიუხედავად იმისა გადაცემული აქვს თუ არა **გირავნობის საგანი ბანკს** სარგებლობაში), აგრეთვე **გირავნობის საგანთან** დაკავშირებული დოკუმენტაციის **ბანკისათვის** მიწოდების ხარჯების ანაზღაურება).

6.8 **გირავნობის ხელშეკრულების** თითო თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარი გადაეცემა **მხარეებს**.

## 7. მხარეთა ხელმოწერები

ბანკი

დამგირავებელი